ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 10 მარტი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
კონსტანტინე ქავთარაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში დადიანის ქუჩის №51-დან №53,55 სახლების წინ დადიანის კერძო დასახლებისა და კაკაურიძის ქუჩის გავლით თაბუკაშვილის ქუჩამდე, თაბუკაშვილის მე-8 შესახვევის და სულხან-საბას №21,27 სახლებიდან №41 სახლის გავლით სულხან-საბას ცენტრალურ გამზირზე არსებული ღვარსადენის სისტემაზე დაერთებით ღვარსადენის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 6000 (ექვსი ათასი) ლარი) შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – ქალაქ ქუთაისში ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 6000 (ექვსი ათასი) ლარი) შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში დადიანის ქუჩის №51-დან №53,55 სახლების წინ დადიანის კერძო დასახლებისა და კაკაურიძის ქუჩის გავლით თაბუკაშვილის ქუჩამდე, თაბუკაშვილის მე-8 შესახვევის და სულხან-საბას №21,27 სახლებიდან №41 სახლის გავლით სულხან-საბას ცენტრალურ გამზირზე არსებული ღვარსადენის სისტემაზე დაერთებით ღვარსადენის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 18 მარტს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 18 მარტის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე